



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თ ე რ ჯ ო ლ ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 16

09/02/2018

ეკა მაკარიძის და გიორგი რობაქიძის მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 41-ე მუხლის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების, პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილების, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილების 39³ მუხლის შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1. მივლინებულ იქნან, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები ეკა მაკარიძე და გიორგი რობაქიძე ამა წლის 12 და 13 თებერვალს ქ. თბილისში (მის: თავისუფლების მოედანი №2, თბილისის საკრებულოს შენობაში) „ახალგაზრდული ფორუმი ადგილობრივი თვითმმართველობისათვის“ მონაწილეობის მისაღებად.

მუხლი 2. დაევალოს მუნიციპალიტეტის მერიას უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელომწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო